



საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

გოგრისებრნი

გოგრისებრნი (Cucurbitaceae), ორლებნიან მცენარეთა ოჯახი. ერთწლოვანი, ზოგჯერ მრავალწლოვანი გართხმული ან მცოცავი ბალახები, იშვიათად ბუჩქები და პატარა ხეებია. აქვთ ხუთწვერიანი, უფრო ხშირად ერთსქესიანი, ფურცლებშებრდილი ყვავილები; ქვედა სამბუდიანი ნასკვი, ერთი მოკლე, სამი ნალისებრი დინგით დაბოლოებული სვეტი; უმეტესად მრავალთესლიანი გოგრულა ნაყოფი. ცნობილია 90-მდე გვარი და 760-მდე სახეობა. გავრცელებულია ძირითადად ტროპიკებში.

საქართველოში ველურად იზრდება 2 გვარი - ლეშურა და კიტრანა. სამეურნ. მნიშვნელობისაა კიტრი, ნესვი, გოგრა, საბამთრო, აყირო, ლუფა, კოლოქვინტი.

ზოგიერთი გ., მაგ., ლეშურა, მედიცინაში გამოიყენება; ზოგი, მაგ., ტლადიანტა, დეკორატიულია.

გ. კვაჭაძე
